სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

28321131520517

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170655628

რეგისტრაციის თარიღი

14.06.2017 წ

ნოტარიუსი: როზა ნადირიანი
მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი ,,ა' მ/რ 50-ე კორპუსის მიმდებარედ
ტელეფონი: 591 70 66 15

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის თოთხმეტ ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუსს როზა ნადირიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ.თბილისი, გლდანი « ა» მკ/რ 50-ე კორპუსის მიმდებარედ, მომმართა **გიორგი ბერიანიძემ**. მან განაცხადა, რომ არის შპს „კიტ 2016“-ს დირექტორი (ს/ნ 402031868). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გიორგი ბერიანიძემ** (დაბადებული 03.01.1985წ. პირადი №01003013531, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 8, ბინა 9) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაუქმოს ეს მინდობილობა. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობა, დაადასტურა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ჩვიდმეტი წლის თოთხმეტ ივნისს მე, შპს „კიტ 2016“-ს დირექტორი **გიორგი ბერიანიძე** ამ მინდობილობით სრულ უფლებამოსილებას ვანიჭებ ერთობლივად ან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად **ვასილ ცანავას** (დაბადებული 26.11.1979წ. პირადი №01010007370, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, მიხეილ მესხის ქუჩა, N 54/5) და **ზვიად სურგულაძეს** (დაბადებული 06.03.1980წ. პირადი №01017010566, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა, N 9) იყოს ჩემი წარმომადგენელი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, მერიაში და მასთან დაქვემდებარებულ სამსახურებში, მათ შორის მერიის იურიდიულ სამსახურში, საკადასტრო და სხვა შესაბამის სამსახურებში, მუნიციპალიტეტში, საკრებულოში, მერიაში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის, საკრებულოსთან და მერიასთან შექმნილ საბჭოებსა თუ კომისიებში, მათ შორის ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, აწარმოოს ჩემი სახელით საქმეები, კერძოდ შპს „კიტ 2016“-ს საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, 300 არაგველის და იალბუზის ქუჩაზე (საკ. კოდი: 01.17.01.138.126) მდებარე უძრავი ქონების რეკონსტრუქციის განხორციელების მიზნით, ზემოთ აღნიშნულ სამსახურში წარმოადგინოს რეკონსტრუქციის პროექტები, მოითხოვოს და წარმოადგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტები, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნახაზები, პროექტი, შეიტანოს ყველა სახის განცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ჩემი სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტაციას, ხელშეკრულებებს, რაც დაკავშირებული იქნება მშენებლობასთან და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის, აწარმოოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროცედურები და ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთმითითებული დავალებების შესასრულებლად. მიიღოს საარქივო მასალები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, სახელმწიფო არქივიდან მოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია და ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტებს.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია ორიათას თვრამეტი წლის თოთხმეტ ივნისამდე.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს როზა ნადირიანის სანოტარო ბიუროში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.
დანართი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

გადახდილია **სულ 13.80,** მათ შორის: ნოტარიუსის საზღაური **10.0** ლარი, სარეგისტრაციო მოსაკრებელი **2.0** ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ **1.80** თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: _____

ნოტარიუსი _____ როზა ნადირიანი